# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 35 კვირა, 14 თებერვალი 1910 წ. № 35



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


კნ. ეფემია ფარსადანის ასული, თ. ნიკოლოზ ფარსადანის ძე და თ. გიორგი დავითის ძე ტუსიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის სოლომან ნაცვლიშვილის ქვრივის

ელენე ფარსადანის ასულის

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება დღეს, კვირას, 14-ს თებერვალს, წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი ს. ახატანში (დუშეთის მაზრა). (1—150—1)

---

ქვრივი დეკანოზ ხელაშვილისა მარიამ ზაქარიას ასული, შვილები ანნა, სიდონია, ქსენია და ნესტორ მიხეილის ასულნი და ძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 16 თებერვალს, ქ. თელავში, სობოროში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სობოროს წინამძღვრის

დეკანოზ მიხეილ იოსების ძის ხელაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—148—1)

---

წარმოდგენა № 35. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 35.

კვირას, 14 თებერვალს, 1910 წელს

## ბენეფისი ტასო აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ბ. შირვან-ზადესი.

I. **ნამუსისათვის** 4 მოქმედებად თარგ. კ—ნისა.

II. **გულმა იგრძნო** ვოდ. 1 მოქმედ. თარგ. მ. საფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ა ნ ო ნ ს ი: 18 თებერვალს ბენეფისი ი. ზარდალიშვილისა. წარმოდ. იქნება „დანაშაული და სასჯელი" დოსტოევსკისა. მზადდება: „შავი ბერი", „ხალხის სიკეთე", „სიკვდილი ნაპოლეონისა", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

---

## ქართული თეატრი

„ჯეჯილის" საიუბილეო დილის წარმოდგენა

კვირას, დილით, 14 თებერვალს 1910 წ.

წარმოდგენილი იქნება: საბავშვო ერთმოქმედებიანი ვოდევილი

I „მდგმური" „ჯეჯილიდან"

II კრილოვის იგავ-არაკნი წაიკითხავენ გრიმებსა და ტანისამოსებში.

III მუსიკალური განყოფილება

IV ცოცხალი სურათი

დ ა ს ა ს რ უ ლ

მ ი ლ ო ც ვ ა

„ჯეჯილის" 20 წლის არსებობის სახსოვრად.

დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.

ადგილების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დილის გამგე ეკ. მესხისა. რეჟისორი ნ. გეორაძე. (5—3)

---

## საარტისტო საზოგადოების თეატრი

ორშაბათს, 15 თებერვალს, არტისტის ქალის ვ. გ. მელიქ-ანის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება:

I სომხურად: **პ ე პ ო** მე-2 მოქმ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნი მელიქიანი; ბ-ნნი მქ. ა. ზარგარიანცი, არუთინიანცი, მამიკონიანცი, მურზოიანი და სხ.

ეფემიას როლს შეასრულებს ქ-ნი მელიქიანი, პეპოსას—ბ-ნი ზარგარიანცი.

II ქართულად: **შემოსავლიანი ადგილი** მე-4 მოქმ., ოსტროვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მელიქიანი, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე და ბ-ნი გვარამე.

პოლინას როლს შეასრულებს ვ. გ. მელიქიანი. რეჟისორი კ. მესხი.

III **იუბილიარის — პატივის ცემა**

IV სომხურად. **„ადვოკატთან"** ვოდ. 1 მ., გადმ. ტერ-დავითიანის მიერ.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი მელიქიანი, ვარდუი; ბ-ნნი არუთინიანი, ალავერდიანი, აღაიანი, მამიკონიანი, მურზოიანი და სხვ.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ა. ზარგარიანცი, წევრები: ქ-ნნი ე. ბ. არუსტამოვისა, ვ. დ. აღამალოვისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა; ბ-ნნი თავ. ნ. დ. ერისთავი, თავ. ა. ზ. ძაყაშვილი, ტ. დ. ილახისიანი, მ. დ. ჯაბარი, მ. ნ. ათაბეგოვი, ქრ. ტერ-სარქისოვი და ა. არუთინიანი. (2—2)

---

კვირას, 14 თებერვალს, 1910 წ., დილის 10 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების

**საზოგადო წლიური კრება**, წინა კრების გაგრძელება.

— განსახილველი საგნები: —

1. 1908 და 1909 წ. ანგარიშების განხილვა; 2. გამგეობის 7 წევრისა და 3 კანდიდატის არჩევანი 3. ახალი წევრთა მიღება. კრებაზე რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, კრება კანონიერად ჩაითვლება. (1—1)

---

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

**მ. ა. გაყონია**

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(10—4) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 14 თებერვალს, 1910 წელს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. ბმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ წარმოდგენილი იქნება

## იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქ. ჰეერმანსისა თარგმანი დ. მესხის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ლეჟავა, ქიქოძე, ციმაკურიძე, და შალამბერიძე, ბ-ნნი ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ინაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, ხახანაშვილი, ცაბაძე, და ნარი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირას საღამოს, 21 თებერვალს. მზადდება წარმოსადგენად: ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი".

რეჟის. კ. შატირიშვილი. ადმინისტრატორი ლ. ვახვახიშვილი.

---

## თამბაქოს მწეველთა საყურადღებოდ!

თამბაქოს ფაბრიკამ სავ. სახ. „ძ მ. ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი" გამოუშვა შემდეგი უმაღლეს ხარისხის პაპიროსები:

„პრიმა" ) 25 ც.—30 კაპ. ) 25 ც.—25 კაპ. და 10 ც. 10 კაპ. ) 25 ც.—15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.

„ზეფირი" და დელიკატნია ) 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი და რეფორმა 10 ც. 5 კაპ.

„არაქსი" 10 ც. 3 კაპ. „მარსი" 20 ც. 5 კაპ.

გთხოვთ გასინჯოთ. იყიდება ყველგან.

თამბაქოს ფაბ. სავ. სახ. „ძმები სეილანოვები".

(15—ტ.—3)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს, დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—109)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პაპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—271)

---

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში **ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—15

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—367)

**ექიმი** გ. მაზაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—96)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—59

**ექიმი** მ. დ ბეთანოვი ქუთაისში,

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სნით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—17)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კამგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—25)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—100)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—116)

**ექიმი** კბილი ა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—16)

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ე)

---

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—22)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ა. ი. შჩერბინინა

ველიკოკნიაზის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი. (100—1031—16)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—2)

გამოვიდა ახალი მე-7 №-რი სათეატრო სალიტერატურო სურათებიან კვირეულის ჟურნალისა

**თეატრი და ცხოვრება**

თითო №-რი ყველგან ორი შაური. წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მან. ხელისმოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

---

# დღიური

**სხვისი იარაღის მლესავნი.**

ადგილობრივ რუსულ გაზეთების სამწუხარო ამბებმა, ცოტა არ იყოს, დააფიქრა ის წრეები, რომლებსაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ რუსული გაზეთის გამოცემა ქართველების ინტერესების დასაცავად. ეს წრეები ასაზრდოებენ იდეურადაც და ქონებრივადაც ჩვენში რუსულ გაზეთებს, რადგან მათი უკვე ნახევრად გადაგვარებული ბუნება ვერ იგუებს ქართულს გაზეთს, და თუ რუსული გაზეთის გამომცემელი ქართველია, მაშინ ხომ პატრიოტული საქმეც კეთდებაო მაღალის, ე. ი. ერთად-ერთის ნამდვილის პოლიტიკის წარმოებით.

მაგრამ უკანასკნელი სკანდალები მეტად ხმიანი იყო, მეტად გადმოშალეს ჩვენი საზოგადოებრივი იარები, მეტად ნათლად დახატეს ჩვენი ცხოვრების გულსაკლავი სურათი, რომლის არ დანახვა და არ გრძნობა უგრძნობს და ბრმასაც კი არ შეუძლია, რომლის მიმალვას და მიფუჩეჩებას მრავალგვარად გაქნილი უცხოელი დიპლომატიც ვერ მოახერხებდა, არა თუ ჩვენებური იაფ-ფასიანი პოლიტიკოსი. შერცხვათ ჩვენს წრეებს გადაგვარებულებს და ცრუ პოლიტიკოსებს, შერცხვათ, რომ გვერდში უდგნენ რუსული გაზეთების სამარცხვინო მეთაურებს, რომ ზურგს უმაგრებდნენ მათ აზრითაც და ფულითაც, და თუმცა ჯერ სამჯერ არ უყივლია მამალს, უკვე გადაუდგნენ თავიანთ იდეოლოგებს და მაღალის კილოთი გვეფიცებიან: არა, ჩვენ მაგათთან არასოდეს ერთად პური არ გვიჭამიაო.

ხმა მაღლა გვეფიცებიან ამას, ხოლო ხმადაბლა, ჩუმად გვიჩურჩულებენ: მართალია, ეს გაზეთები არ გამოგვადგა, ქართული საქმის დაცვის მაგიერ ქვეყნის სამასხაროდ გაგვიხადეს, სახელი შეგვირცხვინეს, მაგრამ ეს იმისი ბრალია, რომ გამძღოლნი არ ვარგოდნენ და თუ რიგი ნს ადამიანებს ჩავაყენებთ თავში, ყველაფერი კარგად წავა, მშვენიერს რუსულ გაზეთს გამოვცემთ, რომელიც მედგრად დაგვიცავს და დაუფასებელს სამსახურს გაუწევს საქართველოს აღორძინებას.

დიაღ, რუსული გაზეთი ფრიად საჭიროა ქართველების კეთილდღეობისათვის, — განაგრძნობენ ჩვენი უკვე გადაგვარებულნი ან გადაგვარებისკენ დაქანებულნი წრეები, რომელთაც ყოველივე ქართული არასასიამოვნო ტვირთად აწევს კისერზე, ხოლო თავიანთი გადაგვარება ჯერ ვერ შეუგნიათ ან შეუგნიათ და აღარ უნდათ გაუმჟღავნონ სხვას. განაგრძნობენ ჩუმად, გაუბედავად, მაგრამ ამ ჩუმი საუბრით უფრო აცხადებენ თავიანთ პიროვნებას და აშკარავებენ სენის სათავეს, ღალატი, გამცემლობა, საზოგადო საქმის გაყიდვა იქ კი არ იყო, რომ ბატონი პეტრე თუ ივანე ვერ გამოდგა პატიოსანი მეთაური, არამედ აქ არის, ამ საერთო მოშხამულ მდგომარეობაში, რომელიც გონებას დაუკარგავს ადამიანს, გადააგვარებს და საკუთარს ხელით გაალესვინებს საკუთარი ძმის დასაკლავ დანას.

ვსთქვი და განვიმეორებ: ჩვენს ძალას, ჩვენს გონებას, ჩვენს უკანასკნელს გროშებს ვერ მოვახმარებთ იმ საქმეს, რომელიც ჩვენი გამრყვნელია, დამამცირებელი. ჩვენი სისხლით ვერ გავლესავთ მტრის იარაღს. რუსული ასოებით დაბეჭდილი ქართული გაზეთი ქართველის დამცველი კი არა, მისი დამჩაგვრელია, მძარცველი. ეს უნდა შევიგნოთ მტკიცედ და სამუდამოდ და განვშორდეთ სიცრუეს. თუ ვინმე უკვე მოწამლულია გადაგვარების შხამით და აღარ ძალუძს განკურნება, დეე, ნუ მოუწოდებს სხვებს, რომ მოშხამოს; მარტოდ დაიღუპოს და ნუ ღუპავს ძმებს! ჩვენ ცოტანი ვართ ისედაც, ყოველი წევრი ძვირფასია ჩვენთვის და ნუ გვართმევენ ამხანაგებს, ნუ იწვევენ მათ უფსკრულისკენ! მკვდრებო, განისვენეთ სამარეში და ნუ გინდათ, რომ ცოცხლები ამოგიწვენ გვერდში!

კარგი რუსული გაზეთიო ქართველებისთვის,—და განა ეს უარესი არ არის? ცუდი იმდენს ვნებას ვერ მოგვიტანს, რამდენსაც კარგი, რომელიც მეტს შთანთქავს, მეტს ჩამოგვაშორებს იმ ძალას, რომელიც უნდა მოხმარდეს საკუთარ მწერლობის განვითარებას, თვითშეგნების გაღვიძებას, ქართული აზრის და სიტყვის განმტკიცებას. ჩვენი გზა-დაბნეული უძლური საზოგადოება დღეს უფრო ცუდს რუსულს გაზეთს ეტანება, ვიდრე კარგს ქართულს, და რუსული რომ გაუმჯობესდეს, მაშინ ქართულს ხომ ზედაც არ შეხედავს. მერე ვინ იქნება რუსული გაზეთის გამაუკეთესებელი? ქართველი მწერალი, რომელიც რასაც რუსულის გაუკეთესებას მოანდომებს, იმას მოაკლებს ქართულს გაზეთს, ქართულს მწერლობას, ქართულს სიტყვიერებას.

ამის ნაცვლად რას გვპირდებიან რუსული გაზეთის მოტრფიალენი? უმაღლეს სფერების ყურადღებას მივაქცევთ ჩვენს ინტერესებსა და საჭიროებაზე და მოვთხოვთ სასურველ ზომებსო. ესეც ერთი იმ დიდ თავის-მოტყუილებათაგანია, რომლებიც ასე ძლიერ გვიყვარს ქართველებს. ჯერ ერთი, სფერების ყურადღებისათვის საჭიროა წერა პეტერბურგის გაზეთებში, ვიტყვი კიდევ

მეორე, რა ფასი აქვს ისეთი ამ ყურადღებას, რომ მისთვის ჩვენვე გავლესოთ ჩვენი დაუძლურების იარაღი, გამოვცეთ ორგანო, რომელიც ერთი წილს თუ საეჭვო სარგებლობას მოგვიტანს, ცხრა წილს უეჭველს ვნებას. ჩვენი გაჭირების მიზეზი ის კი არ არის, რომ სფერები არ გვიცნობენ და ყურადღებას არ გვაქცევენ, არამედ ის, რომ თავად ჩვენ კულტურითა და ქონებით ღატაკნი ვართ. აი, მაგალითად, დღეს ტერიტორიის დაკარგვის შიში გვახრჩობს და სად უნდა ვეძებდეთ ხსნას? სფერებში? ყველაზე ნაკლებად. ხსნა—ჩვენი საკუთარი ძალაა. ჩვენ რომ ძლიერი ეროვნული თვითშეგნება გვქონდეს, რამდენიმე თვე შევქმნიდით ეროვნულს ბანკს, რომელიც დაიცავდა ჩვენს მიწა წყალს. ჩვენი მწერლობა უძლურია, ქართულს წიგნს გასავალი არა აქვს; მერე ასე იქნებოდა, რომ კულტურით ღონიერნი ვიყვნეთ? ღარიბნი ვართ ქონებრივად, მაგრამ ვინმე რასმე გვიწყალობებს, თუ თვითონ არ მივხედავთ ჩვენს თავს?

ნამდვილი ძალა მხოლოდ შინაგანი ძალაა, ჩვენი ღირსება—ჩვენი საკუთარი არსებაა. ძლიერია და მტკიცე ის ერი, რომელიც თავის თავად არის ძლიერი, შეგნებული, განვითარებული. ამიტომ ყველაფერი, რაც ხელს უშლის საკუთარ ძალების განვითარებას, რაც მისდევს სხვის შეხედულებას, მოწონებას, დასაგმობია და უარსაყოფი. გარედ გამოჩენას არ უნდა ჰფიქრობდეს, ვინც სახლში არარაობას წარმოადგენს, სხვის თვალის მოსაკლავად არ უნდა ირთვებოდეს, ვისაც ლუკმა არ მოეპოვება, მჩაგვრელის გაძლიერებას არ უნდა ცდილობდეს კაცი გონიერი!..

**სიტყვა.**

## ნაწყვეტები

### სამართლიანი კრიტიკა?!

გაზეთ „მომავალში" ბ-ნმა შხეფელმა ორი ფელეტონი უძღვნა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას და, სხვათა შორის, ჩვენს ახალგაზდა მგოსნებს შეეხო. ყველა ჩვენი თანამედროვე პოეტები ბ-ნმა შხეფელმა ორ ნაწილად გაჰყო: ერთის მხრით დააყენა შანშიაშვილი და გრიშაშვილი, რომელნიც, ჩვენის კრიტიკოსის აზრით, მხოლოდ სიყვარულზე და ნაციონალურ ჰანგებზე მღერიან, და მეორეს მხრით კი—რუხაძე, ქუჩიშვილი, თურდოსპირელი, ზომლეთელი, ბ-ი, ლეჩხუმელი, ტუქსიშვილი და მალაქიაშვილი, რომელთაც პოეზიის უმთავრესი მიზანი,—ბ-ნ შხეფელის აზრით,—მოქალაქობრივი მოტივები, მუშათა საქმე და სამოქალაქო თავისუფლებისათვის ბრძოლა. თუმცა პოეტის დახასიათება და იმის ნაწერების გარკვევა მარტო მოქალაქობრიობით არ შეიძლება, მაგრამ ამ წერილში მე შევეხები მხოლოდ იმას, თუ რამდენად სამართლიანია ბ-ნ შხეფელის საყვედური ა. შანშიაშვილისადმი, თითქოს მას სრულიად არ აინტერესებს მოქალაქობრივი მოტივები, თითქოს იგი მხოლოდ სიყვარულსა და სამშობლოზე მღეროდეს.

ჯერ ერთი, უნდა გავახსენოთ ჩვენს კრიტიკოსს, რომ სიმღერა სამშობლოზე, უკვე მოქალაქობრივი მოტივია, მით უმეტეს, რომ სამშობლო ჩვენი მგოსნისა დაჩაგრულია ყოველმხრივად. ყოველგვარი ჩაგვრა ადამიანის ღირსების დამამცირებელია, მისი პიროვნების შემლახველი, ეროვნული ჩაგვრაც, რა თქმა უნდა, შემლახველია დაჩაგრულთა ადამიანურ გრძნობისა და მთელის თავის სიმძიმით კისერზე აწვება ისედაც ჭირ-ვარამში ძყოფ, ეკონომიურადაც დაჩაგრულ, მშრომელ ხალხს, ამ უმეტესობას ერისას. თუ ა. შანშიაშვილი ეროვნულ ჰანგებზედაც მღერის—ამაში მას საყვედური არ ეთქმის, ვინაიდან მისი სამშობლო განსაცდელშია, ვინაიდან პოეტს ის კი არა სურს, რომ სხვა ვინმე დაჩაგროს და სხვის დამონებაზე ააგოს თავისი ერის ბედნიერება. არა, მას მხოლოდ თავის ერის წარმატება სურს, სურს თავის სამშობლოს და ერს გაუკვლიოს გზა კეთილ-დღეობისა და კულტურის ამაღლებისაკენ. და ყველა ეს კი შესაძლებელია უმთავრესად მაშინ, როდესაც მოისპობა ეროვნული ჩაგვრა, როდესაც მოისპობა ეროვნული მონობა. ამ მხრივ სამშობლოს სიყვარულზე წერა სრულიადაც სასაყვედუროდ არ უნდა ჩაეთვალოს ჩვენს ახალგაზდა მგოსანს...

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ მხოლოდ იმ მოტივებზე, რომელთაც ბ-ნ შხეფელი მოქალაქობრივ მოტივებს ეძახის—მუშათა საქმეზე და სამოქალაქო თავისუფლებისათვის ბრძოლაზე; ვნახოთ, მართლა გაურბის ამ საგნებს ა. შანშიაშვილი, მართლა ყველა ეს ა. შანშიაშვილს თავის პოეზიისათვის მეტ ბარგად მიაჩნია? სრულიადაც არა. პირიქით, ა. შანშიაშვილმა, იმ მოკლე ხანში, რაც გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მრავალი ლექსი დასწერა ამ თემებზე და, უნდა გამოვტყდეთ, რომ ა. შანშიაშვილის ეს ლექსები თუ არ აღემატება, სრულიადაც არ ჩამოუვარდება დანარჩენ ეხლანდელ პოეტების ლექსებს ამავე თემებზე.

* *
*

თავის წერილში ბ-ნი შხეფელი კერძოდ არც ერთს პოეტს არ არჩევს იმ ბანაკიდან, რომელსაც, მისი აზრით, მხოლოდ მოქალაქობრივი მოტივები აინტერესებს. ისინი თუმცა სხვა და სხვანი არიან, მაგრამ ერთსა და იმავე დროს ერთს საერთო საქმეს უმღერენო, ამბობს ბ-ნი შხეფელი და ამიტომაც სცდილობს ყველა ამ პოეტების მოღვაწეობის ერთი მთლიანი სურათი წარმოგვიდგინოს. ბ-ნი შხეფელი სამართლიანად უკავშირებს მათ ლიტერატურულ მოღვაწეობას ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას და ჩვენს ახლო მწარე წარსულს. თავისუფლებისადმი სიყვარულით გატაცებულმა მშრომელმა ხალხმა სცადა ბორკილების დამსხვრევა, გამოვიდა საბრძოლველად თავისუფლების მოსაპოვებლად და სასიკვდილოდ შეება ბნელ ძალებს, მაგრამ დამარცხდა. ბრძოლის ველი აივსო თავისუფლებისათვის მებრძოლთა მსხვერპლებით, კვლავ გამეფდა სიბნელე. ეს იყო და არის ჩვენი ახლო მწარე წარსული და აწმყო, ეს დაგვისურათეს ბ-ნ შხეფელის მიერ მოწონებულმა პოეტებმა და ნუ თუ ყველა ეს გამორჩა ა. შანშიაშვილს, ნუ თუ მას ეს დიადი ბრძოლა და მისი შედეგები არ აინტერესებდა? დავიწყოთ თავიდან. ბრძოლის დაწყების დროს ალ. შანშიაშვილი სამწერლო ასპარეზზე ჯერ არც-კი გამოსულიყო: მან მხოლოდ 2 თუ 3 წელიწადია, რაც დაიწყო ლექსების წერა. ა. შანშიაშვილმა, როგორც მგოსანმა, მხოლოდ დამარცხებას მოუსწრო და კიდეც აღეგზნო გული და სული ტანჯვა—ვაებით. მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ა. შანშიაშვილი...

„ბრძოლის ველები მოიკენჭა თავისუფლების ზვარაკთა მსხვერპლებით, არ ახდა სიზმრები თავისუფლებაზე"......

ისევ მონა ხარ, მუშავ ჩაგრულო,
მშრომელი მაჯა დადუნებულა;
უწყალო ხელით სისხლი თქრიალებს,
ხმა სიმართლისა მიყუჩებულა.

ცისკარი არ კრთის აღმოსავლეთით,
სულსა გიხუთავს ბნელი დამისა;
დანგრეულ ქოხში დედა შვილს სტირის,
კვნესა ცას სწვდება მომაკვდავისა.

ირგვლივ ცრემლები... ჩაგვრა... მონობა...
აღმართულია წამების ჯვარი;
ისევ მონა ხარ, მუშავ ჩაგრულო,
და შენს წამებას არ აქვს საზღვარი!

(„მუშა")

მწარე სურათია, მაგრამ „ბრძოლის შემდეგ სულ სხვა სურათებიც გადაიშალა. აივსო, ციხის სარკმელს აღარ ხვდება მზის სხივები. დაჩაგრულთა კუთვნილება-მზე—მტერს მიუთვისებია"...

აგერ მოვაკლდი ტურფა ბუნებას,
დავშორდი მინდვრებს ამწვანებულსა;
ვერ ვხედავ ვარსკვლავს ცის კამარაზე,
ვერც თოვლით თეთრად ტყეს დაბურულსა!

საპყრობილეში ვზივარ მარტოკა,
კვნესა არ მესმის ნაზ ბულბულისა;
ჩაშვმა ბუჩქებში თუნდ იფრთხიალოს,
მაინც მაღონებს სევდა გულისა!

ირგვლივ წყვდიადი სულ-შემხუთველი,
მოვწყდ ცხოვრებას, წუთი-სოფელსა;
ცოცხალს მითხრიან ბნელ სამარესა,
ძალით მიხშობენ მზის სხივს ნათელსა!"..

(„საპყრობილეში")

„საშინელია ეს პოლიტიკური ღამე"..

ზღვა ღელავს... მისი ტალღები
მაღლა ქაფს ისვრის, ტრიალებს;
ხან შესკდება ციცაბ კლდეს
და ხან საზარლად გრიალებს.

არც ქარიშხალი ყუჩდება,
დაჭრილ ლომივით ღრიალებს;
შეუპოვრადა შავს ნისლსა
ზღვის პირას დაასრიალებს!...

მთვარე დაჩრდილეს ღრუბლებმა,
მთა-ბარი აცრემლებულა;
ბუჩქებში მჯდომი ბულბული
არ ჰკვნესის დადუმებულა!

აგერა სადღაც იელა,
შორს მეხმა დაიგრიალა;
იქ ამაყ მუხას დაეცა
და წითლად ააპრიალა!

ზანზარებს მკაცრი ბუნება,
ზღვაც მიტომ აშფოთებულა;
და რისთვის დასცხრეს, თუ ირგვლივ
წყვდიადი გამეფებულა?!....

(„ზღვა")

„მაშ ასე, ბედითი ბრძოლა დროებით დამარცხებული გათავდა.:. მერე? მომავალში რა გვმართებს? ისევ ნაჩვევი გზით სიარული... ისევ წინსვლა, იმედი მომავალშია და მის მოლოდინში არაფერმა არ უნდა შეგვაკრთოს"...

შვილდი მოვწიოთ, მოვზაროთ
გავსტყორცნოთ ბასრი ისარი;
თავზარი დავსცეთ მჩაგვრელებს,
გაუპოთ გულის ფიცარი!
—გასწი, გაფრინდი, ისარო,
მთა-ტყენი გადისრიალე;
სადაც დაეცე, იქ დროშა
ძმობისა ააფრიალე!
ნუგეში ეცი ჩაგრულებს
ცრემლი შეუშრე თვალებსა:
უთხარ, რომ შენით შეჰმუსრვენ
სულის შემხუთველ ძალებსა!...

(„ისარი")

* *
*

გადაიკითხე, მკითხველო, ყველა ეს. აქ ტექსტი ბ-ნ შხეფელს ეკუთვნის და იმის ფავორიტ პოეტების დასახასიათებლად არის მოყვანილი. ჩვენ მხოლოდ ამ პოეტთა ლექსების მაგიერ ა. შანშიაშვილის ლექსებით ჩავურთეთ ბ-ნ შხეფელის ტექსტი. მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ არც ა. შანშიაშვილს აკლია მოქალაქობრივი მოტივები. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ლექსი მოვიყვანეთ ა. შანშიაშვილის, რომელიც შეგვხვდა. ჩვენს ახალგაზდა მგოსანს ამ თემაზე მრავალი ლექსი აქვს დაწერილი და ბევრად უფრო ნიჭიერად. მაგრამ მოყვანილიც საკმაოა მკითხველისათვის. შეადარეთ თუ გინდ ა. შანშიაშვილის ეს ლექსები ბ-ნ შხეფელის ფავორიტ პოეტების ლექსებს იმავე თემაზე და, დარწმუნებული ვარ, ეს შედარება ა. შანშიაშვილისათვის სრულიადაც საშიშო არ იქნება.

ეხლა გაიხსენეთ მეორე გარემოება. ბ-ნი შხეფელი თავის წერილში მარტო ერთს მგოსანს კი არ ახასიათებს, არამედ ყველას ერთად: „ყველანი ერთ საერთო საქმეს უმღერენო"—ამბობს ბ-ნი შხეფელი. ჩვენ მიერ მოყვანილი სიტყვები შეეხება არა რომელსამე მგოსანს, არამედ ყველას, ხან ერთს და ხან მეორეს. ჩვენ კი ყველგან იმის ტექსტის დასასაბუთებლად მხოლოდ ა. შანშიაშვილის ლექსები მოვიყვანეთ. გამოდის მარტო ერთმა ა. შანშიაშვილმა არანაკლებად დაგვისურათა ის, რაც შესძლეს ერთად ბ-ნ შხეფელის ყველა ფავორიტებმა.

აი, ამასა ჰქვიან სამართლიანი კრიტიკა?! აი, სადამდის მიდის დაბრმავება, ცხადსაც ვეღარ ჰხედავენ! ა. შანშიაშვილის დაპირისპირება მუშათა მწერლებისათვის ყოვლად შეუძლებელია უმთავრესად იმიტომ, რომ ა. შანშიაშვილისთვისაც ძვირფასია მშრომელი ხალხი, ა. შანშიაშვილსაც ესმის მისი ჭირ-ვარამი, იცის, რომ მასშია მომავალი. წაიკითხეთ ა. შანშიაშვილის ლექსი „წყლის პირას მარტო" და დაინახავთ, რამდენად ძვირფასია მისთვის მშრომელი ხალხი, როგორ ესმის პოეტს თავისი მომავალი ლიტერატურული მოღვაწეობა.

* *
*

ჩვენ აქ აზრადაც არ მოგვსვლია განგვეხილა ა. შანშიაშვილის ლიტერატურული ნაწარმოებნი. მართალია, ა. შანშიაშვილი ახალგაზდა პოეტია, სულ ორი თუ სამი წელიწადია, რაც გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ მან იმდენი დასწერა, ისეთი ნაყოფიერობა და მრავალფეროვნება გამოიჩინა, რომ ყველა ამის გარჩევა შორს წაგვიყვანს. ჩვენ მხოლოდ განვიხილეთ ბ-ნ შხეფელის აზრი და ვნახეთ, თუ იგი რამდენად უსამართლოა, როდესაც ა. შანშიაშვილს უსაყვედურებს მოქალაქობრივ თემებზე არა სწერსო. ბ-ნ შხეფელს, ვიტყვით მისივე სიტყვებით, „ყველა ეს ჩააგონა მისმა ვიწრო პარტიულმა... ინტერესებმა". **ახალი.**

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

### ბიუჯეტი.

სათათბირო შეუდგა ბიუჯეტის განხილვას. 12 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ პირველად განიხილა და დაამთავრა კიდევ კანონპროექტი გადასახადების შესახებ ქალაქის უძრავ ქონებაზე. შემდეგ საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსეენკომ სიტყვა წარმოსთქვა 1910 წლის ბიუჯეტის შესახებ. ალექსეენკომ საათ-ნახევარი ილაპარაკა.

ფინანსთა მინისტრის პროექტითაო, სთქვა ალექსეენკომ, ჩვეულებრივი და საგანგებო ხარჯი ნავარაუდევია 2,630,032,544 მანეთი, შემოსავალი—2,545,817,522 მანეთი. ამ რიგად ხარჯი აღემატება შემოსავალს 84,215,023 მანეთით. სამინისტრომ ამ დეფიციტის დაფარვა განიზრახა საკრედიტო ოპერაციებით. საბიუჯეტო კომისიამ კი, განიხილა რა ხარჯი, შეამცირა იგი 54,858,081 მანეთით. კომისიამ შეამცირა ისეთი ხარჯები, რაც დიდ გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტზე. სამხედრო სამინისტროსთვის გადადებულია 480,000,000 მანეთი. ეს თანხა კომისიამ მხოლოდ ექვსი მილიონით შეამცირა. სახელმწიფოს დაცვა დიდი საქმეა და ამისთვის დიდი ფული უნდა იხარჯებოდეს. არ შეუმცირებია კომისიას არც ის ხარჯები, რაც სახალხო ცხოვრებას ხმარდება, მაგალითად, ხარჯი გლეხთა მიწათ-მოქმედებასა და მიწათ-მოწყობაზე და აგრეთვე სახალხო განათლებაზე, კომისიამ შეამცირა ხარჯთ-აღრიცხვანი გზათა და საზღვაო სამინისტროებისაო. ხარჯის შემცირების გარდა, კომისიამ 33,109,840 მანეთით გაადიდა შემოსავალი. მოხსენებულმა სთქვა, რომ 22 წელიწადია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტი უდეფიციტოდ არ შედგენილა და ამდენი ხნის შემდეგ ეს წელიწადი პირველი მაგალითიაო. ბიუჯეტის უდეფიციტოდ შედგენისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შარშანდელ კარგ მოსავალს. 1908 წელს რუსეთიდან გავიდა 375 მილიონ მანეთის პური, 1909 წელს კი—847 მილიონისა, კარგი მოსავალის წყალობით დიდძალი ფული შემოვიდა და ვაჭრობაც გაცხოველდა; გაუმჯობესდა სახელმწიფო კრედიტის საქმე. გვაქვს თავისუფალი ნაღდი ფულიც და ეს ფული მეტად სანდო კაცის, ფინანსთა მინისტრის ხელშიაო. ბოლოს ალექსეენკომ სურვილი გამოსთქვა, რომ სახელმწიფო ფული დიდის სიფრთხილით და დაზოგვით იხარჯებოდესო.

ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმაც. მანაც აღნიშნა, რომ წლევანდელი აღრიცხვა დიდად განირჩევა წინა წლების აღრიცხვებისაგან. ოთხი უკანასკნელი წელიწადი დეფიციტები სესხით იფარებოდა, წელს კი სესხი სულ-საჭირო არ არის. მინისტრმა მოიწონა საბიუჯეტო კომისიის მოსაზრება-მოქმედებანი და სთქვა, რომ კომისიას ზომიერად, სწორედ და ფრთხილად უანგარიშნია ყველაფერიო. წინანდელი ბიუჯეტები იმით ხასიათდებოდა, რომ წლითი-წლობით ხარჯის ზრდა ბევრად აღემატებოდა შემოსავლის ზრდას. 1909—10 წლებში კი შემოსავალი სჭარბობს ხარჯს. დაგვიდგა დრო, შევისვენოთ სესხებისაგან. ეკანომიური და ფინანსიური მხარე რუსეთისა კეთილ მდგომარეობაშია. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, ვითომ ბიუჯეტი ხელოვნურად იყოს შედგენილი. ჩვენმა ფონდებმა საგრძნობლად აიწიეს. ხალხის ცხოვრებასაც კარგი ნიშნები დაეტყო: გადიდდა შაქრის ხმარება, იმატა საგლეხო ბანკში შეტანილ ფულის რაოდენობამ. პესიმიზს ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ჩვენ უკვე გავსცდით ძნელ და მძიმე წარსულს და უკეთეს მომავალში გადავდგით ფეხიო.

ეს ოპტიმისტური სიტყვა ცენტრმა და მემარჯვენეებმა ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კადეტმა კუტლერმა. მისი სიტყვა ძალიან მოკლედ არის გადმოცემული. მან აღნიშნა ბიუჯეტის გაუმჯობესება, მაგრამ ეს მოვლენა შემთხვევითია და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საფინანსო მეურნეობის გაუმჯობესების შედეგადაო. სათათბირო ამ ბიუჯეტს საგრძნობლად არ შესცვლის, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მან განსაცდელი მოელის სახელმწიფო საბჭოში, რომელმაც შეაჩერა თავისი საკანონმდებლო მოქმედება და თავისი თავი საკანონმდებლო „პრობკად" გადააქცია (თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა ორატორს). კუტლერმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ორჯელ არის შეტანილი 1908 და 1909 წლების მოგება—18 მილიონი. თუ შემოსავალს გამოვაკლებთ, გამოვა 14 მილიონი დეფიციტიო. ბიუჯეტის უდეფიციტოდ შედგენა, სთქვა ბოლოს კუტლერმა, არ მოასწავებს სახელმწიფოს მდგომარეობის გაუმჯობესებას. იქ, სადაც მთავრობა და ხალხი გადამტერებულია, ეკონომიური ძალნი სახელმწიფოსი ვერ განვითარდებიან. ჩვენ საფინანსო უწყებას არა უშავს რა, მაგრამ სახელმწიფო გაჭირვებასა და ტანჯვაში იქნება იმ დრომდე, სანამ გამეფებულია ეკონომიური ძალ-მომრეობაო. (ტაში მარცხნივ).

ილაპარაკა მემარჯვენე პოლოვცევმაც. მან შეაქო მთავრობა.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი.

### საზღვარ-გარედ.

**პეკინი.** ბოგდიხანის ბრძანებით დალაი-ლამა გადააყენეს და სასულიერო უფლებები ჩამოართვეს. ბრალდება ლხასის მიტოვება ჩინეთის ჯარის გაძლიერების შემდეგ. დაინიშნა არჩევნები ახალ დალაი-ლამის ასარჩევად.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ინდოეთის სტატს სეკრეტარმა მორლეიმ ლორდებს ვრცლად გააცნო ტიბეტის მდგომარეობა და დალაი-ლამის გაქცევის საქმე. მორლების სიტყვით, ლალაი-ლამა ინდოეთში გაიქცა და ინგლისის მთავრობას მფარველობას სთხოვს. ლხასი ჩინელმა ჯარმა დაიჭირა. დალაი-ლამას წინადადება მიეცა კალკუტაში იცხოვროს. მთავრობაო,—სთქვა მორლეიმ, სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს. მთავრობას უკვე მოლაპარაკება აქვს ჩინეთთან დალაი-ლამის გაქცევის შესახებ. ჯერ არ ვიცით, რა იყო მიზეზი, რომ დალაი-ლამამ ლხასი მიატოვაო.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ბრძანებით ყველა სასწავლებლებში მოსწავლეებს სამხედრო გიმნასტიკა უნდა ასწავლონ.

**პარიზი.** გადელუპის კუნძულიდან იტყობინებან: კუნძული ცუდ მდგომარეობაშია. დაჭრილი მუშები შაქრის პლანტაციებში დაიწვნენ. პლანტაციებს ცეცხლი გაფიცულებმა წაუკიდეს. სან-ფრანსუასა და პუენტაპიტრისაკენ ბევრი სოფლის მუშა დაიძრა. მუშებს განზრახული აქვთ ჟანდარმებს არ შეარჩინონ სამი გაფიცული მუშის მოკვლა და შური იძიონ. წესიერების აღსადგენად გაიგზავნა ჯარის-კაცთა ერთი რაზმი და უნტერ-აფიცერი.

სასამართლომ გაარჩია იმ ჯარისკაცის საქმე, რომელმაც ჯარის საჭმლის ქვაბში საწამლავი ჩაყარა. დამნაშავეს 20 წლით კატორგა მიუსაჯეს.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. იხილავენ სეფე-სიტყვის საპასუხო ადრეს. ორი დღის კამათის შემდეგ პალატამ ხმის უმრავლესობით (285 ხმით წინაამდეგ 254) უარჰყო ჩემბერლენის წინადადება სატარიფო რეფორმის შემოღების შესახებ. ირლანდიელებს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მუშათა პარტიამ მთავრობას დაუჭირა მხარი.

**სოფია.** ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: მე 20 პოლკის უფროსმა უკვე გამოიძია ბოლგარიის და ოსმალეთის საზღვარზედ მომხდარი ინციდენტი. საზღვარზედ შეტაკება მოუვიდათ ოსმალეთის და ბოლგარიის მოსაზღვრე რაზმებს. როგორც გამოირკვა, არტილერიის მონაწილეობა არ მიუღია შეტაკებაში. შეტაკების მიზეზი ერთი ბილიკია, რომლითაც წინად ბოლგარები სარგებლობდნენ. ბოლგარიის მთავრობამ ოსმალეთის მთავრობას მიმართა, გამოვარკვიოთ ვის ეკუთვნის ეს ბილიკიო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სიტყვით, 13 თებერვალს სამინისტროს ორჯელ გაუმართავს სხდომა. ამტკიცებენ, რომ საქმემ კეთილი მსვლელობა მიიღო. პალატის კულუარებში დეპუტატები პესიმისტურად უყურებენ საქმეს.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. პალატამ ერთხმად მიიღო ადრესი. 228 ხმით, წინაამდეგ 185 უარჰყო წინადადება, რომ მთავრობამ მფარველობა გაუწიოს სახლებში მომუშავეებს. დეპუტატთა პალატის სხდომები 15 თებერვლამდის გადაიდო.

**ბუდაპეშტი.** ამომრჩეველთა კრებაზე იუსტმა განაცხადა, მთავრობამ ბოსნია-ჰერცოგოვინას კონსტიტუციის გამოცემით ჰუნგრეთის კონსტიტუცია დაარღვია. კონსტიტუციის ესეთი უმაგალითო დარღვევა ჯერ არსად მომხდარა. პარტია მოითხოვს, რომ მთავრობა სამართალში იქმნეს მიცემულიო.

### სპარსეთი

**თეირანი.** მთავრობამ სრულიად მოულოდნელად აკრძალა გილიონის და მაზანდარის ჯეეების გაჩეხვა და გატანა. მთავრობა ყურადღებას აღარ აქცევს უცხოელებთან დადებულ ხელ-შეკრულობებს. ამის გამო საელჩოებმა პროტესტი განაცხადეს. საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად გაიგზავნა, პირველი მეჯლისის დეპუტატი ახმედ-ხან ხეიდარი. ხეიდარმა სამართალში მისცა კუსისის ფირმა, კონცესიას ამ სამი წლის წინად გაუვიდა ვადა, მაგრამ ფირმა მაინც სარგებლობდა კონცესიითო.

**თავრიზი.** ეფრემთან ერთად ყარადაღიდან ჩამოვიდა ბოგადური ბახტიარების რაზმით და სპარსეთის ყაზახთა ერთი ასეული. სულ ყარადაღიდან ჩამოვიდა მთავრობის ჯარის 6000 კაცი ოთხი ტყვის მტყორცნელით და ოთხი ზარბაზნით. არტილერიას უფროსობს გერმანიის ჯარის უნტერ-აფიცრად ნამყოფი გაზე.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** სატუსაღოში თავი ჩამოიხრჩო ტუსაღმა სიტნოვმა, რომელსაც 20 წლით კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბრალდებოდა ყუმბარების მომზადება და გადაგდება.

**მოსკოვი.** დილის 10 საათზედ საზღვარ-გარედ გაემგზავრნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები და სენატორები. სადგურზედ სტუმრებს დაუხვდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები მაკლაკოვი და მაქსუდოვი, საფრანგეთის კოლონიის წარმომადგენელნი, ბრესტის რკინის გზის ადმინისტრაცია და აუარებელი ხალხი. სენატორმა დესტურნელ-დე-კონსტანმა მოსკოველებს მადლობა გადუხადა მასპინძლობისთვის.

**იაროსლავლი.** სასამართლომ გაარჩია გრიაზოვეცის მხრის თავადაზნაურთა წინამძღოლად ნამყოფი ვოლოდსკის საქმე. ვოლოდსკი მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ თავმჯდომარეობდა საერობო კრებას, რომელმაც მისი თავმჯდომარეობით დაადგინა, ვითხოვოთ, რომ რაც შეიძლება მალე მოიწვიონ მესამე სახელმწიფო სათათბიროო.

**ჰელსინგფორსი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა უმუშევართა შუამდგომლობა 10,000 მარკით დახმარების აღმოჩენის შესახებ. გუბერნატორის წინადადებით სენატმა დაადგინა, გადასდოს რკინის გზის 250 ბილეთი და 2000 მარკა უმუშევართა სამშობლოში დასაბრუნებლად.

**კიევი.** ვერხნე სოლომენკაში რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა ჩოდარს როხმანსკის. ბოროტგანმზრახველებმა მსუბუქად დასჭრეს როხმანსკი, მძიმედ მისი ქალი და შვილი. ბოროტგანმზრახველები მიიმალნენ.

## „ჯეჯილის" დღესასწაული

მდგომარე წელს 1 იანვარს შესრულდა ოცი წელიწადი, რაც საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" დაარსდა. ადვილი სათქმელია ოცი წელიწადი, მაგრამ აბა იფიქრეთ, ამ ხნის განმავლობაში რაოდენი შრომა, ჯანი და ხარჯი იყო საჭირო ჟურნალის გასაძღოლად. „ჯეჯილმა" იმ დროს დაიწყო არსებობა, როდესაც არა თუ საბავშვო ჟურნალი, რიგიანი წასაკითხი წიგნიც კი არ იყო ქართულ ენაზე. საუკეთესო ქართველი მწერლები და მთარგმნელები იღებდნენ მონაწილეობას ამ ჟურნალში. ბევრი სამეცნიერო და ბელეტრისტული მოთხრობა-ამბავი იბეჭდებოდა. ამ ჟურნალის წყალობით ურიცხვმა ბავშვმა შეისწავლა და შეიყვარა დედა ენა და გაიცნო სამშობლო ისტორია და საუკეთესო ნაწარმოებნი. როდესაც ჟურნალმა „ჯეჯილმა" არსებობა დაიწყო, სურათების დამზადება და მოყვანა ძალიან ძნელი იყო და მოჭრებული ნაწილი სურათებისა რუსეთში იგზავნებოდა, რომ კლიშე ამოეჭრათ.

ყველა ეს რომ გავითვალისწინოთ, მართლაც დიდი მადლობის ღირსია დაუცხრომელ შრომისთვის „ჯეჯილის" რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა. მარტო ამისთანა მხნეობის პატრონს, დაუღალავს და შრომის მოყვარე ადამიანს შეეძლო ამ დიდ და მძიმე საქმის გაძღოლა. მართალია, მას მხარში ედგნენ უანგარო დაუღალავი მეგობრები, რომელნიც მასთან ერთად შრომობდნენ და ამხნევებდნენ, მაგრამ მაინც დიდი შრომა და ჯაფა უნდოდა, რომ ჟურნალი იმ საუკეთესო გზაზე დაეყენებინა, რომელზედაც დღეს სდგას.

ვერც ერთი ჩვენი ჟურნალი და გაზეთი მარტო ხელის მომწერლებით ვერა საზრდოობს, თუ კერძო შემწეობა არსაიდანა აქვს. ანასტასია კი შრომასთან ერთად ქონებასაც არა ზოგავდა და არა ზოგავს, რომ თავისი საყვარელი პატარა მკითხველები დააკმაყოფილოს და ასიამოვნოს.

პატივისმცემელნი და თანამშრომელნი, ჟურ. „ჯეჯილის" ოცი წლის არსებობის სახსოვრად, დღეს, 14 თებერვალს ქართულ თეატრში მართავენ საბავშვო წარმოდგენას.

მაშ მივიღეთ, პატივი ვსცეთ და მადლობა გამოუცხადოთ დაუღალავ რედაქტორს და გამომცემელს ანასტასია წერეთლისას. ვუსურვოთ საყვარელი „ჯეჯილის" აყვავება და დიდი ხნის სიცოცხლე. ეკ. მ—ი.

## ვ. გ. მელიქიანის იუბილეი

ხვალ, 15 თებერვალს, საარტისტო საზოგადოების თეატრში მსახიობ-ქალის ვ. მელიქიანის საიუბილეო დღესასწაულია. წელს შესრულდა 25 წელიწადი, რაც მსახიობი სცენას ემსახურება.

ქ-ნი მელიქიანი ტფილისელია. სწავლა მიიღო სომხეთა გაიანეს სკოლაში. პირველად მსახიობი სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას, შემდეგ ჩიმჩიმიანის და ტერ-გრიგორიანის დასში შევიდა.

ხუთი-ექვსი წელიწადი ვ. მელიქიანი ქართულ სცენაზე თამაშობდა. იგი ბ. აბაშიძემ მიიწვია. შემდეგ ისევ სომხურ სცენაზე გადავიდა. ტფილისს გარდა მელიქიანი მუშაობდა ბაქოს დასში. კავკასიაში ქალაქი არ არის, სადაც მელიქიანს არ ეთამაშნოს. მას სპარსეთშიაც უთამაშნია.

როლების ჩამოთვლას არ შეუდგებით. შეუძლებელიც არის იმ პიესების ჩამოთვლა, რომელთა წარმოდგენაშიაც მსახიობს მონაწილეობა მიუღია.

ვ. მელიქიანი პატარობიდანვე გატაცებული იყო სცენით და კიდეც შესწირა მას მთელი თავისი ახალგაზდობა და ძალ-ღონე. 25 წელიწადი ისეთი დიდი მანძილია, განსაკუთრებით ჩვენებურ სცენის მოღვაწისთვის, რომ ყველა მადლობით და პატივისცემით უნდა ახსენებდეს ამ გვარ მუშაკს.

კერძოდ მადლობის თქმა ჩვენ ქართველებსაც გვმართებს, რადგან ქ-ნი მელიქიანი რამდენიმე წელიწადი ქართული სცენის გამდიდრებას და აყვავებასაც ემსახურებოდა.

ღარიბია ქართული და სომხური თეატრი და თავდადებულ მუშაკებს ვერაფრით ვერ აჯილდოვებს. ერთად ერთი ჯილდო ასეთი დღესასწაულია, სადაც თანამედროვენი პატივისცემით იგონებენ მათ მიერ განვლილ ეკლიან გზას და მადლობას უძღვნიან თავდადებულ შრომისათვის.

ვუსურვებთ პატივცემულ მსახიობს, კვლავაც ისე მაღლა ეტარებინოს სცენის პატიოსან მუშაკის დროშა, როგორც აქამდე ატარებდა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქართველი დეპუტატი სტამბოლში.** ოსმალეთის პარლამენტში, სხვათა შორის, დეპუტატად არის ერთი ქართველი მაჰმადიანი, მოლა ჰასან ფეჰმი ირემაძე. ირემაძეს, როგორც გვატყობინებენ, აზრადა აქვს საქართველოში ჩამოსვლა და ქართველების გაცნობა. იგი უკვე შესდგომია ჩვენის წარსულის შესწავლას და ქართულ ენაში გავარჯიშებას. ქართულთან ერთად რუსულსაც. დეპუტატი ირემაძე ცოდნის(?) მოყვარე და განათლებულ პიროვნებად უწყვეტია, საქართველოდან დაიბაროს მასწავლებელი ქალი და შეასწავლოს შვილებს ქართული. იმის ოჯახში ქართულს ლაპარაკობენ, მაგრამ წერა-კითხვა არ იციან. სტამბოლში ბიბლიოთეკა - სამკითხველოს გახსნამ და რამდენიმე ინტელიგენტის მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო და მაჰმადიანი ქართველები იღვიძებენ. გამოღვიძება დაეტყო აგრეთვე, სტამბოლელ ქართველ კათოლიკეთაც. ესენიც მხნედ შესდგომიან ქართულ ისტორიისა და მწერლობა ცხოვრების შესწავლას. ამას გარდა, ბ-ნ ვარდიძის მეცადინეობით საქართველოდან 9 ახალგაზდა ჩაუყვანიათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში სასწავლებლად, მასწავლებლად მიუწვევიათ რომში ახლად სწავლა შესრულებული ქართველი კათოლიკე. უნდათ, რომ ქართულის სწავლება საფუძვლიანად მოაწყონ და თუმცა სახელმძღვანელოები ჰქონიათ, მაგრამ დაძველებული ყოფილა. ამიტომ თხოულობენ აქედან გაეგზავნათ „ბუნების კარი", „ვეფხის ტყაოსანი", ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, „სიბრძნე-სიცრუის წიგნი", ქართული გრამატიკა, ქართული ქრისტომატია, ქართული წერის დედნები და სხვა. კარგი იქნება ამ წიგნებს შესწირავდნენ. სთხოვენ ავტორებსა და გამომცემლებს მიაწოდონ სხვა ქართული საკითხავი წიგნებიც. კარგი იქნება, ჟურნალ-გაზეთებიც დაუთმობდნენ თითო ცალს თავიანთ გამოცემებისას სტამბოლის ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოების კრება.** დღეს, 14 თებერვალს, 12 საათისთვის ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. კრება განაგრძობს მირზოევ-ნაგურსკი-ყიფიანის საქმის განხილვას. ამავე დღეს დანიშნულია არჩევნები გამგეობის წევრთა.

✦ **დაბა სამტრედია.** კავკასიის ნამესტნიკს თავის წარმომადგენლისათვის პეტერბურგში უცნობებია, უკვე შევიმუშავეთ კანონ-პროექტი სამტრედიის „პოსადად" გადაკეთების შესახებაო. სამტრედიაში შემოღებული იქნება მარტივი თვით-მმართველობა. ამას გარდა, ნამესტნიკმა მიწათ-მოქმედების მთავარმართებელს სთხოვა, იშუამდგომლოს ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე, რომ სამტრედიის სახაზინო გლეხებს გადაეცეთ სახაზინო მამულები.

✦ **ისტორია.** როგორც უკვე ვწერდით, პატრი თამარაშვილი ამ ჟამად რომში ბეჭდავს დიდ მეცნიერულ შრომას. მ. თამარაშვილს გადაუწყვეტია, თავის ისტორიაში შეიტანოს ისტორიული ცნობები საქართველოს ეკლესიის შესახებ, როგორც ძველ ისე ახალ დროისა. შემდეგ აღწერილი იქნება დამოუკიდებლობის მოსპობა ძალით და საქართველოს ეგზარხოსების მოღვაწეობა ანტონ კათალიკოზის რუსეთში გადასახლებიდან. ახალ დროიდან, სხვათა შორის, აღწერილი იქნება ქრონოლოგიურად რომელი ეგზარხოსი როდის განაგებდა საქართველოს ეკლესიას და რა გააკეთა. წიგნი დასურათებული იქნება.

✦ **გამგეობის წევრი პეტერბურგში.** 12 თებერვალს პეტერბურგში წავიდა ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ალ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკი. დავალებული აქვს იზრუნოს ქალაქის სამ მილიონ მანეთიან სესხის რეალიზაციის შესახებ. დაევალა აგრეთვე შუა მდგომლობანი აღსძრას მთავრობის უმაღლეს დაწესებულებებში ქალაქის სხვა და სხვა საქმის გამო.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი.** ტფ. ხმოსანთა კერძო თათბირის დადგენილების თანახმად, ქალაქის თავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი და ხმ. თ. გ. მ. თუმანოვი 12 თებერვალს წარუდგნენ სენატორს ვატაცის და სთხოვეს, დაიჩქაროს საუნივერსიტეტო კომიტეტმა მასალის დამზადება და, სადაც ჯერ არს, წარდგენა. სენატორმა ვატაცმა მიიღო ბ-ნი ხატისოვი და თუმანოვი და აღუთქვა, მალე იქნება მოწვეული კომიტეტის სხდომაო.

✦ **გადასახადისაგან განთავისუფლება.** წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის თავმჯდომარემ ნ. გ. ყაზბეგმა ამ დღეებში შუამდგომლობა აღსძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ ანდრეევის ქუჩაზე ი. ქავქავაძის ნაანდერძევ სახლზე დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი (191 მან.) ეპატიოს საზოგადოებას, რადგან საზოგადოება განმანათლებელი დაწესებულებაა და სახსარი არა აქვს გადასახადი გაიღოს. გამგეობამ 10 თებერვალს დაადგინა, ეპატიოს წ.-კ. საზოგადოებას აღნიშნულ სახლზე დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი და ქალაქის დებულების მე-128 მუხ. ძალით ეს სახლი სრულიად განთავისუფლდეს გადასახადებისაგან მომავალშიაც. ეს დადგენილება საბჭოს წარედგინება.

✦ **პანაშვიდი.** ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში ტფ. საარტისტო საზოგადოების მამასახლისთა ინიციატორობით გუშინ, 13 თებერვალს, გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ მსახიობ-ქალის კომისარჟევსკაიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი სცენის მოღვაწე და გარეშე ხალხი დაესწრო.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ, 15 თებერვალს, ტფ. ქალაქის საბჭოს განსახილველად 15 მეტი მიმდინარე საქმე წარედგინება.

✦ **ლიტერატურის ისტორია.** როგორც გადმოგვცეს, ქართველ მასწავლებლებს უთხოვნიათ პროფესორ ა. ხახანაშვილისათვის, შეადგინოს ქართულ ენაზე ახალ ქართულ ლიტერატურის ისტორია. ა. ხახანაშვილი დაჰპირებია და კიდეც დაუმზადებია მასალა. გამომცემელი უკვე არის.

✦ **კრების გადადება.** რადგან დღეს დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრება, ამიტომ დღეისთვის დანიშნული სახალხო წარმომადგენათა წრის საზოგადო კრება გადაიდო შემდევისათვის.

✦ **რუსული ენა მეეზოვეებისთვის.** ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაავალა: გამოსცვალეთ ის მეეზოვეები, რომელთაც ენა არ იციან და რუსული ენის არ მცოდნე მეეზოვეების დამქირავებელი სახლ-მ-პატრონები პასუხის გებაში მიეცითო.

✦ **მაზრის უფროსების კრება.** დღეს, 14 თებერვალს, მოხდება ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსთა კრება.

✦ **შეტაკება.** დეპეშ. სააგენტოს სიტყვით, ჯავადის მაზრაში შეტაკება მოსვლიათ კონტრაბანდისტებს და საერობო დარაჯებს. დარაჯებს მოუკლავთ ერთი კანტრაბანდისტი.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** დღეს, 14 თებერვალს, ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრება განიხილავს ანგარიშს და აირჩევს გამგეობის წევრებს. კრება დაიწყება დილით 11 საათზე.

✦ კვირას, 14 თებერვალს, დილის ათ საათზე აჯხალის(?) აუდიტორიაში პატარებისთვის თამ. კარბელაშვილი ქართულად წაიკითხავს „ბაწია და ბუნებას"; უფროსებისთვის ი. ნასიძე წაიკითხავს „ალისფერ ყვავილს". კვირას 14 თებერვალს, დილის ათ საათ. სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქართულად წაიკითხავს ციცქიშვილი „ივა-ნაიამ რა ქმნა"-ს, მხოლოდ ასათიანი წაიკითხავს „ჯანმრთელობის ხე"-ს.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „11 იანვარს ვასილ ჯანუგაშვილი ცოლშვილის პატრონმა კაცი, დილით სახლიდან გამოვიდა და აღარ დაბრუნებულა. ვინც იცის რამე ვასილ ჯანუგაშვილის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ. ადრესი: მუხრანის ქუჩა, № 2, თომა ჯანუგარაშვილი.

✦ ბედკის(?) უსახელო საზოგადოებამ 400,000 მანეთი ავანსად მისცა ტფ. ქალაქის თვითმართველობას მუხრანის ხიდის გასაკეთებლად. ამ ფულიდან უკანასკნელი ნაწილი, სახელმწიფო 4% რენტით, სულ 112,000 მანეთი, ამას წინად მიიღო ქალაქმა. უსახელო საზოგადოების დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, აცნობოს დაწვრილებითი ანგარიში იმ რენტის რეალიზაციისა.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, აძრას საჩივარი ვერის ხიდის მოიჯარადრე სვანიძეზე, რადგან მას დროზე საიჯარო ფული არ შეაქვს. ამ ჟამად სვანიძეს გადასახდელი აქვს 2500 მან.

✦ 12 თებერვალს ქურდს, „სორაპანის" სტამბიდან გაუტანია სასტამბო იარაღი, 150 მანეთისა. პოლიციამ ქურდი ალექსი მუნგერი დააპატიმრა, ნივთები აღმოჩნდა ზეინალ ალი-ოღლის სახლში. ამავე დღეს ჩხრეკის დროს პოლიციამ დააპატიმრა მესამე ნაწილში—21, მე-4—39 და მე-9—9 უპასპორტო კაცი.

✦ თავ. ალ. მ. არგუთინსკის პეტერბურგში გამგზავრებისა გამო გამგეობის მეოთხე განყოფილების საქმეთა გამგეობა დაევალა გამგეობის წევრს თავ. ნ. გ. არგუთინსკის

✦ 12 თებერვალს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: კოჩუბეის ქუჩაზე მცხოვრებმა შუშელმა ტერ-ისრაელიანცმა პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემი სახლის სარდაფში მამრე ხეჩატუროვმა ნავთი გადაასხა ნახშირს და ის იყო ცეცხლიც უნდა მიეცა, რომ მიუსწარიო. პოლიციის ცნობებით გამოირკვა, რომ ხეჩატუროვს ტერ-ისრაელიანცის სახლის გადაწვა უნდოდა, რადგან იგი ტერ-ისრაელიანცს სამსახურიდან დაუთხოვნია. მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებმა 19 წლის ქალმა ნადეჟდა აფანასიევმა კარბოლის სიმჟავე დალია, მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. 12 თებერვალს ღამე პოლიციამ გაჩხრიკა სურფ-მინასის ქუჩაზე ბაღდასარ მინასიანცი. აღმოაჩინეს ორი რევოლვერი, 20 პატრონა და ხანჯალი. პოლიციამ მინასიანცი და მასთან ნოვობაიაზეთელი კარაპეტ ნაზარიანცი დააპატიმრა.

## ქართული თეატრის მდგომარეობა

(წერ. რედ. მიმართ)

ამ ბოლო დროს ბევრი დაიწერა ქართული თეატრის შესახებ. ავტორთ დიდი სურვილი ჰქონიათ გამოერკვიათ მიზეზები ქართულ თეატრის საქმეების დაცემისა. თეატრის დაქვეითების მიზეზს თითქმის ყველა ეძებს და ჰპოულობს დრამატიულ საზოგადოების გამგეობის უმოქმედობაში და მხოლოდ ამ გამგეობის წევრთა უძლურებას აბრალებს. ერთმა გაზეთმა წარსულიც მოიგონა, ჩამოსთვალა მაშინდელ გამგეობის წევრნი და ამით თითქო ის დაასკვნა, რომ რაკი იმისთანანი აღარა გვყვანან, ამიტომ მიდის თეატრის საქმე ავრე ცუდათაო. იგონებენ შორეულ წარსულს, თეატრის აყვავებას და სხვ. საკითხს გარს დასტრიალებენ და ისევ და ისევ გამგეობის მცონარეობას აბრალებენ. აბრალებენ იმ გარემოებას, რომ გამგეობაში არ არჩევენ საქმის მცოდნეთ. რომ ჰკითხოთ: ვის იცნობენ თეატრის საქმის მცოდნეთ, პასუხს ვერ მოგცემენ. რაც ქართული დრამატიული საზოგადოება არსებობს, გამგეობაში თითქმის ყველა აურჩევიათ, ვისაც კი ამჩნევდნენ ფხას ამ საქმისათვის. ესენიც მხნედ შეუდგებოდნენ ხოლმე საქმეს, დიდის იმედებით აღჭურვილნი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მხნეობა და სურვილები უქრებოდათ და ესენიც წინანდელთა „უმხნეო" პირთა სიაში მოჰყვებოდნენ.

საქმე ის არის, რომ საქმის ცუდად წარმოებაზე სჩივიან ისინიც კი, რომელნიც წლითი წლობამდე ქართულ წარმოდგენებზე არ დადიან. ეს ფაქტია. ჩვენებური მცონარეები თავიანთ სახელს „საქმიანობისას" იმით იკეთებენ, რომ სხვებსა ჰგმობენ.

ამ წერილში ვეცდები შეძლებისა და ცოდნის გვარად მოკლედ გამოვარკვიო ჩვენი თეატრის დაქვეითების მიზეზები.

ქართულ თეატრს სდევნის ორი სენი: 1. უსახსრობა (ნივთიერი), რადგან არც ქართველი საზოგადოება უწყობს ხელს ამ ნაკლის აცილებას, არც თეატრში დადის, არც დრამატ. საზოგადოებაში შეაქვს საწევრო ფული და არც მეცენატები გვყვანან; 2. თვით ხელოვნების განუვითარებლობა ჩვენს სცენაზე. რასაკვირველია, თეატრის საქმეების გასაუმჯობესებლად საჭიროა პირველი ნაკლის აცილება. თუ თეატრს საჭირო საშუალება არა აქვს, ყოვლად შეუძლებელია ხელოვნების წარმატების მოთხოვნა.

პირველს, ე. ი. თეატრისადმი ხალხის გულის აცრუებას უჩივის მთელი რუსეთი, გარდა ზოგიერთ ისეთ თეატრის, როგორიც არის მოსკოვში, პეტერბურგში. ეძიეს ამისი მიზეზი. ზოგნი აბრალებენ რეპერტუარის შეუფერებლობას ხალხის ახლანდელ მოთხოვნილებასთან, ზოგნი,—ამის მომხრენი უფრო ბევრნი არიან,—სინემატოგრაფების გამრავლებას. დიდ ქალაქებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ერთი ტომის ხალხისაგან შესდგება, ერთ ენაზე ლაპარაკობენ და მრავლად სცხოვრობენ, თეატრი ისე არა ჰგრძნობს ხალხის გულგრილობას, რადგან ხალხი ჰყოფნის ერთსაც და მეორესაც; ხოლო ისეთ ქალაქებში, როგორიც ტფილისია, თეატრში მოსიარულე საზოგადოება თითქმის ერთი და იგივეა: ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრის საქმის კარგად მოწყობისთვის. თუ მოსკოვში ან პეტერბურგში შეიძლება ანტრეპრენიორმა ორი, სამი ან ხუთი კარგად მომზადებული და კარგად მოწყობილ პიესით გაატაროს მთელი სეზონი, პროვინციის ქალაქებში ხალხის დასაინტერესებლად, სულ ახალ-ახალი პიესები უნდა გამოიძებნოს და ისიც იმისთანები, რომ ხალხი მიიზიდოს, ალოო უნდა აუღოს თეატრში მოსიარულეთ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხალხი თან და თან განვითარდა, რომ ძველი სკოლის პიესები იმას აღარ აკმაყოფილებს, ახალი, სასცენო პიესები კი ცოტა იწერება, ადვილად დავასკვნით, რომ ყველა პროვინციის სცენა საქმის ფაქიზად და კარგად მოწყობაში ძალიან კოჭლობს.

შორს რომ არ წავიდეთ, ტფილისავე რუსული თეატრი ავიღოთ. ქ-ნ ფითოევისამ ფული არ დაზოგა. ამ ორი სეზონის განმავლობაში ორმოცი ათასი მანეთი დაადო თეატრს. ხალხი ცოტა დადიოდა. დასი, შედარებით წინანდელ დასებთან, თითქმის უკეთესიც იყო, მაგრამ ხალხი ან სინემატოგრაფებში დადიოდა ან ცირკში ჭიდაობას უყურებდა. იქნება ხალხის ასეთი საქციელი იმითაც აიხსნება, რომ დაეღალა ტვინი, გონება და უნდა დაისვენოს ისეთ გართობით, სადაც მხოლოდ თვალით მუშაობს.

თუ რუსულ თეატრს ეს დაემართა, საკვირველია განა რომ ქართულ და სომხურ თეატრის საქმეები უარეს მდგომარეობაში იყვნენ?

რუსულ სცენისათვის კარგად მომზადებული მსახიობი ბევრია, იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა სცენისათვის. ანტრეპრენიორი ყოველთვისა ცდილობს ქალაქში ზედი-ზე სეზონში ერთი და იგივე მსახიობი არ მოიყვანოს, რომ თავი არ მოაბეზროს საზოგადოებას. ჩვენს თეატრში კი 20-30 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე არტისტსა ჰხედავენ. რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი იყოს არტისტი, მაინც ხალხს ჰბეზრდება, თითონ მსახიობიც ეჩვევა საზოგადოებას, იმათ შორის სცხოვრობს, თითონაც მობეზრებული ჰყავს საზოგადოება. არც მსახიობს და არც საზოგადოებას აღარა ახალისებს-რა. განახლებაკი შეუძლებელი ხდება, რადგან რიცხვი მსახიობთა სამსახურისათვის ძალიან მცირეა. შეგნებული განათლებული ახალგაზდობა ერიდება სცენას. თუ ახალგაზდა პროფესიად გაიხდის მსახიობობას, ნახევარზე მაინც მშიერი უნდა იყოს: 1—იმიტომ რომ სეზონი მოკლეა, სულ ხუთი-ექვსი თვე, ამ ხნის განმავლობაში ნაღდად აღებული ჯამაგირიც-კი არ ეყოფა წლის განმავლობაში, 2—პუნქტები, სადაც შეუძლიან მუშაობა ცოტაა, მაშასადამე, ზაფხული მთლად ეკარგება, 3—ქართველი საზოგადოება, რომელსაც შეუძლიან თეატრში სიარული (ნივთიერის მხრივ) მცირეა და ამისათვის შეუძლებელია ყოველი დღე წარმოდგენების მართვა, 4—რადგან შეუძლებელია ყოველდღე წარმოდგენების მართვა, შემოსავალიც საერთოდ ცოტაა, მაშასადამე, მსახიობს, სხვა დიდ სათადარიგო თანხის უქონლობის გამო, ჯამაგირიც შესაფერი ვერ ჰეცემა; 5. რაკი წარმოდგენები რიცხვით ცოტა იმართება, „სათადარიგო" მსახიობნიც არ არიან საჭირონი.

რუსეთში, რაკი მოთხოვნილებაა, მსახიობთა რიცხვიც მრავლდება. თეატრის ახალმა მიმართულებამ ბევრი მიიზიდა უმაღლეს სწავლა მიღებულნი. იურისტები, ექიმები, ინჟენრები, სპეციალურ მუშაობას თავს ანებებენ და თეატრის ხელოვნებას სწირავენ თავიანთ დროს და ძალას. გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებენ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებას, ნივთიერადაც ასე თუ ისე უზრუნველ ყოფილნი არიან. ამით აიხსნება, რომ თუ რუსეთში ახალგაზდა მსახიობთა შორის ნიჭით მაჩალოვს და ერმოლოვისას ვერ შეედრებიან, სამაგიეროდ სცენის ცოდნით, ტიპების უნაკლულოთ შესწავლით და გარდაცემით, ტიპის ფსიხოლოგიის შესწავლით და საზოგადოთ ანსამბლის დაცვით ახლანდელი თეატრი გაცილებით მაღლა სდგას. „Закулисная интрига"-ს რომ ამბობენ—ეს ყველგან არის, მაგრამ რუსეთის ახალი მსახიობნი, როგორც უფრო განათლებულნი, თავს იკავებენ, ერიდებიან ამ ინტრიგის გამოაშკარავებას. ეს აბედვინებს ახალგაზდა მსახიობთაც, თამამად იმუშაონ სცენაზე იმ იმედით, რომ იმათაც მიეცემათ ფართო გზა ამ ასპარეზზე მოქმედებისა.

ახლა ამ მხრივ ჩვენი თეატრი ავიღოთ. დაიბადნენ ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი ჩვენი მსახიობნი, რომელნიც 20-30 წლის განმავლობაში ამშვენებდნენ ქართულ

თეატრს. ესენი არიან ნიჭიერნი, რომ ჩვენი სცენის დამამშვენებელნი და არა სცენისათვის ტეხნიკურად მომზადებულნი მსახიობნი. ყოველ ნიჭს მოქმედებისათვის ტეხნიკური მომზადება, განვითარებაც ეჭირვება. ყველა ამას ხელოვნება თხოულობს: მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა და სხვა. ჩვენი მსახიობნი წარსულ დროიდანვე მიჩვეულნი არიან თავისებურ თამაშს და ყოველთვის იქ იჩენდნენ თავს, სადაც სცენიური, ამ დროის ტეხნიკა აგრე რიგად არ იყო საჭირო—ორიგინალურ, მსუბუქ კომედიებში და ვოდევილებში. ამისთანა პიესებში თითქო ანსამბლიც იყო დაცული. მაგრამ თუ რომელსამე ნათარგმნს, რთულ პიესას წარმოადგენდნენ, მაშინვე შენიშნავდით, რომ არც საერთო ანსამბლი იყო დაცული, არც მიხვრა-მოხვრა ჰქონდათ შესაფერი, არც პლასტიკა, არც სიცილი, არც ლაპარიკი. ერთი-ორი მსახიობი თუ უკეთესი იყო, სხვებსა სჯობდა ეს იმიტომ, რომ დანარჩენთა შეუფერებელ თამაშობასთან შედარებით, ეს ბუნებითი ნიჭიერნი სჯობდნენ. ჩვენი მსახიობნი, სასცენო სკოლას მოკლებულნი, ყოველთვის ერიდებოდნენ ახალ პიესებს, რაკი დაინახავდნენ, რომ იქ მარტო ნიჭით ვერას გახდებოდნენ, სადაც საჭირო იყო სერიოზულად შემუშავება ყოველ ნაბიჯისა. ხოლო თუ იმათ სურვილის წინააღმდეგ მაინც დასდგავდით ამ პიესას, წინადვე დარწმუნებული უნდა ჰყოფილიყავით, რომ, რუსები რომ იტყვიან, **провалятъ** ჩვენ ნიჭიერ მსახიობთა უმრავლესობა თავიანთ ნიჭის იმედით როლებსაც კი არა სწავლობდნენ.

ვიმეორებ, თითონაც მოსწყინდათ ერთი და იგივე საზოგადოება, საზოგადოებასაც მოსწყინდნენ ჩვენი მსახიობნი ასე დაუდევარნი როლების შესწავლაში. რაკი როლებს არ სწავლობდნენ, ხშირად სცენიდან უაზრო ლაპარაკი ესმოდა საზოგადოებას, რადგან ან სუფლიორი დაუგვიანებდა კარნახობას ან თითონ მსახიობი ყურს ვერ მოჰკრავდა ნაკარნახევს და ამბობდა იმას, რაც პირზე მოადგებოდა. საზოგადოდ ჩვენი თეატრის დრამატიული დასი ყოველთვის უფრო მოყვარეთა დასნა ჰგავდა ვიდრე პროფესიონალურ დრამატიულ დასს.

ზევით ავღნიშნე, რომ რუსეთის სცენაზე ბევრი მიდის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული. ჩვენში? ჩვენში სცენაზე მიდიოდა ისეთი ახალგაზდობა, რომელსაც ცხოვრების გზა დაბნეული ჰქონდა, თითონაც არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ამისთანა „არტისტებით" სავსეა ჩვენი ქვეყანა. განათლებულნი და განვითარებულნი ქართულ სცენას ერიდებიან, რადგან: 1. იციან, რომ ნივთიერად ვერ იქმნებიან ცოტათი მაინც უზრუნველ-ყოფილნი. 2. ერიდებიან ჩვეულებრივ ინტრიგებს. 3. ქართული თეატრის უზრუნველად და მუდამ არსებობის იმედი არა აქვთ, თუ ყველა ეს ეჭვი გაიფანტება, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული თეატრი ერთი საუკეთესო თეატრთაგანი იქმნება.

ახლა გადავავლოთ თვალი იმ შორეულ წარსულს, როდესაც ახლად იფურჩქნებოდა ქართული თეატრი, როდესაც ახლად დაიწყო მოქმედება დრამატიულმა საზოგადოებამ. თუმცა ხელის შემშლელი პირობა მაშინ უფრო ნაკლები იყო, თუმცა მაშინ გამოჩნდნენ ქართული თეატრის ასპარეზზე ისეთი მნათობნი, როგორნიც არიან მ. საფაროვისა, ვ. აბაშიძე, გაბუნია, ქ. ყიფიანი, ქ. მესხი. მაგრამ მაინც სეზონი არა ყოფილა, რომ დეფიციტით არ გათავებულიყოს. წლიწადი არა ყოფილა, რომ ჩვენი საუკეთესო მსახიობნი, თუ სხვა წყარო არა ჰქონდათ ცხოვრებისა, მშივრები არა ყოფილიყვნენ, დროზე ჯამაგირი მიეღოთ, რიგიანი ტანისამოსი ჰქონოდათ და სხვა და სხვა. ვისი ბრალი იყო ეს? წარსულში ხომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განთქმული პირები ამშვენებდნენ? ჩვენი თეატრის საქმეების უძლურებაში მარტო დრამატ. საზოგადოების გამგეობა არ არის დამნაშავე.

თვალი გადავავლოთ რეპერტუარსა, რომლითაც ჰკვებავდნენ საზოგადოებას. კრიტიკულად რომ შევხოთ წარსულ რეპერტუარს, რამდენიმე პიესის გარდა, დანარჩენი რიგიან თეატრის წიგნთსაცავშიაც კი არ არის ღირსი შენახვისა. ვერც მაშინდელმა გამგეობამ, ვერც შემდეგმა ვერ შესძლეს ორიგინალურ დრამატიულ ლიტერატურის შექმნა. ახლანდელ დრამატიულ ლიტერატურის სისუსტეს რუსეთშიაც უჩივიან; ევროპაშიაც. ორიგინალურ დრამატიულ ლიტერატურის შექმნა გამგეობის ხელთ არ არის. კომედია, დრამა სტოლი ან სკამი არ არის, რომ ნახატი მისცეთ დურგალს და შეუკვეთოთ!

რაკი ქართული ორიგინალური პიესები არ იწერება, უნდა თარგმანებით ვისარგებლოთ. ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ნათარგმნ პიესების წარმოდგენით თითქო არა კმაყოფილდება (ეს უფრო ნაცარქექიაობის ბრალია). „აბა რა პიესაა, ჩვენ ცხოვრებას არ შეეფერება". „გრაფ დე-რიზორი" რომ წარმოადგინოთ სცენაზე, ჩვენი საზოგადოება უკმაყოფილო იქმნება, „ჩვენ ცხოვრებას არ შეეფერება", მაგრამ იგივე პიესა „სამშობლოს" სახელით და მომქმედ პირთა სახელების გაქართულებით-კი თურმე, უცვლელად გადმოთარგმნილ შინაარსით, ჩვენს ცხოვრებას შეეფერება. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი" ჩვენ ცხოვრებას არ შეეფერება და იგივე პიესა გადმოთარგმნილი სახელების გამოცვლით თურმე ძალიან შეეფერება. ამისთანა თავისუფლად გადმოქართულებული პიესა ბევრია. ახლა ერთი ეს მიბრძანეთ, სად არის გონივრული მსჯელობა რეპერტუარზე? „ჰამლეტი" ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერება, ხოლო თუ „ჰამლეტი" ოთარად შესცვალეთ, ჰორაციო—ანდუყაფარად და ოფელია—სოფიოთ და მოქმედება ზუგდიდში გადიტანეთ, პიესა თავის შინაარსით თურმე ჩვენს ცხოვრებას შეეფერება. ასევე უნდა მოექცნენ მეტერლინკს, იბსენს, ზუდერმანს, ჰაუპტმანს, ანდრეევს და სხვათ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ გაჰკიცხოს დრამატ. საზოგადოება „ჩვენი ცხოვრების შეუფერებელ პიესების წარმოდგენისათვის".

რომ დაუკვირდეთ არც გასამტყუნარია ჩვენი საზოგადოება. ნათარგმნ პიესას ჩვენს სცენაზე ისე ვერ ითამაშებენ, როგორც სახელდახელოდ გადმოქართულებულს. ის მიხვრა-მოხვრა, პლასტიკა, სიარული, დიქცია, როგორიც საჭიროა ევროპიულ პიესების წარმოსადგენად, ჩვენ მსახიობთ სრულიად არ ეხერხებათ, რადგან საამისოდ საჭირო სკოლა არა აქვთ გავლილი. მუშაობაც ეზარებათ. ევროპიულ ტანისამოსსაც როგორღაც ვერ იმშვენებენ. გადაქართულებულ პიესებში კი თავისუფალნი არიან. მაინცა და მაინც არც ერთზე ზრუნავენ, არც მეორეზე; როცა როლი ავიწყდებათ, თავიანთ სიტყვებს ჩაურთავენ და სხვ. საზოგადოებაც გადმოქართულ პიესებში ისე ვერ ამჩნევს ჩვენი მსახიობთა სცენიურ ნაკლს, როგორც ნათარგმნებში. რაკი ამ მდგომარეობაშია ჩვენი ქართული თეატრი, ამას ეჭირვება სერიოზულად, ძირიანად გარდაქმნა, გადახალისება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული თეატრი თან და თან დაქვეითდება და სამასხარაოდ გადიქცევა.

რა უშველის?

ჩემის აზრით, ქართული თეატრის გამოსაბრუნებლად საჭიროა: 1. საქმე ჩაჰბარდეს ერთს ან ორს და არამც და არამც მეტს. 2. ქართული თეატრი თავ.-აზნაურობამ უეჭველად დრამატიულ საზოგადოებას გადასცეს არა ნაკლებ ექვსი-შვიდი წლით, სრულიად უსასყიდლოდ, განათებით. ქართულ თეატრს (შენობას) ასცილდეს შემდეგი უმთავრესი დეფექტები: ქუჩიდან შემოსავალი გაფართოვდეს და შესავალში მოისპოს მეწვრიმლის დუქანი, სადაც ყოველთვის ბიჭბუჭებით არის სავსე. თეატრის წინ შუშაბანდი გაკეთდეს, რომ ვესტიბიულში სიცივე არ შედიოდეს. სცენაზე ზამთარში ბაღის მხრივ მეორე კარები გაუკეთდეს. სცენის ქვეშ გაკეთდეს დეკორაციებისა და ავეჯის საწყობი. აცილებულ იქმნას ქარი თეატრში. ლოჟები გაუმჯობესდეს. შესავალი, ქუჩა თეატრის წინ და ეზო თეატრისა წარმოდგენების დროს მაინც უხვად იქმნას განათებული. 3. შეძენილ იქმნას რამდენიმე ხელი კარგი ავეჯი სცენის მოსაწყობად. მომზადებულ იქმნას რიგიანი ბუტაფორია, სეკვიზიტი და არა სამასხარაო. მომზადებულ იქმნას გარდერობი. 4. ყოველწლივ გადადებულ იქმნას საჭირო თანხა: ახალგაზდა განათლებულ და სცენისათვის გამოსაყენებელ პირთა სასცენო კურსებზე გასაგზავნად. მომზადდეს სამი ან ოთხი წლის განმავლობაში მსახიობთა და რეჟისორთა საჭირო კონტიგენტი. 5. ამავე დროს განმავლობაში მომზადდეს რეპერტუარი კარგის თარგმანებით, რაკი ორგინალურები არ იწერება. ძველი რეპერტუარი კარგად გაიცხრილოს; 5. როდესაც ახალი ძალა და რეპერტუარი მომზადებული იქმნება, მომზადდეს სეზონისათვის რამდენიმე პიესა ყოველის მხრივ უნაკლოდ და დაიწყოს სეზონი სრულიად განახლებულის ძალებით.

მანამდე კი შედგენილ იქმნას არსებულ საუკეთესო მსახიობთა დასი და გაუმჯობესდეს წარმოდგენები. მსახიობთ ჯამაგირები თავის დროზე უნდა ეძლიოთ და სასტიკად მოეთხოვოთ მათ მუშაობა. ეს საქმე დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა მიანდოს, როგორც ზევითაც ვსთქვით, უეჭველად ერთს ან ორს. ესენი საქმის მართვაში სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ იმის საქმეებში არ უნდა ერეოდეს (გარდა ფინანსიურ კონტროლისა) არც ერი, არც ბერი, არც აზნაური და არც თავადი. ჯამაგირიც უნდა მიეცეთ.

რამდენი დასჭირდება ფული?

თეატრი ისეთი საქმეა, რომ რამდენიც მეტი იქნება ფული, იმდენად უკეთ მოეწყობა. აქ მხოლოდ მინიმუმის აღნიშვნა შეიძლება:

1. ახალგაზდათა მომზადებას 10-ს, ოთხი წლის განმავლობაში, თითოს 600 მ. წლიწადში, სულ ყოველ წლივ 6000 მან. სამი ან ოთხი წლის განმავლობაში—18000—24.000 მ. 2. სცენის გასაუმჯობესებლად: ავეჯს—2500 მან., გარდეროზს—4000 მან., ბუტაფორს—1800 მან., სცენის სხვა მოწყობილებას—1000 მ., სულ 9300 მან. 3. რეპერტუარის მომზადებას—2500 მან. 4. სუბსიდია დასის შესანახად. რაკი თეატრი ზამთარ-ზაფხულს უსასყიდლოდ გადაეცემა, საკმარისია წლიწადში—5000 მან., ხოლო თუ წლის დამლევს თეატრის შემოსავალს (იჯარით გაცემით) გადარჩება მოგება, ეს უნდა მიეცეს თავად-აზნაურობას, როგორც შენობის პატრონს. სამი ან ოთხი წლის შემდეგაც საჭირო იქმნება ყოველ წლივ სამი სტიპენდია იყოს ახალ მოსწავლეთათვის.

დასკვნა: 1. სცენის მოწყობას, გარდეროზს ერთ დროულად 9300 მან. (ყოველ წლივ დამატება დასჭირდება ერთსაც და მეორესაც. ეს ხარჯი ყოველ წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანება). 2. სტიპენდია მოსწავლეთ და რეპერტუარზე სამი ან ოთხი წლის განმავლობაში, ყოველ წლივ 6500 მან. 3. ყოველ წლივ სუბსიდია დრამატიულ საზოგადოებას—5000 მან. 4. ოთხი წლის შემდეგ ყოველ წლიური ხარჯი სამ სტიპენდიაზე 1800 მან. მაშასადამე, სამი ან ოთხი წლის შემდეგ ყოველ წლიური სუბსიდია მხოლოდ 6800 მანეთი იქმნება.

მოსალოდნელია, რომ როდესაც ყველა დეფექტი ასცილდება ქართულ თეატრს (შენობას), კარგად მოეწყობა და გამგებლობაც სანდო და მცოდნე პირებს გადაეცემათ, თითონ თეატრი გაუძლებს ხარჯსაც და სუფსიდიასაც. გაჭირება პირველ სამ-ოთხ წლიწადშია.

ვისაც ესმის ქართული თეატრის ეხლანდელი მდგომარეობა, მისი გაჭირვება, ქართულ თეატრის არსებობის საჭიროება და მნიშვნელობა და თეატრის საქმეც—ეს ხარჯი მცირედაც ეჩვენება.

თეატრიღა შეგვრჩა ხელშეუხებელი. დავიცვათ, თორემ ესეც ჩვენი დაუდევრობისა და შენ-ჩემობის წყალობით ხელიდან გამოგვეცლება.

**ანი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ტასო აბაშიძის საბენეფისოდ.** დღეს ქართულ თეატრში დღესასწაულობენ ბენეფისს ნიჭიერ მსახიობ-ქალის ტასო აბაშიძისას. წარმოდგენილი იქნება სომხურიდან თარგმნილი ახალი პიესა შირვანზადესი „ნამუსისათვის" და ვოდ. „გულმა იგრძნო". ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი და, სხვათა შორის, ვასილ აბაშიძე. ბენეფისი, ახალი საინტერესო პიესა და მონაწილეობა ვასილ აბაშიძესი, ეჭვი არ არის, დიდ ხალხს მიიზიდავს დღეს თეატრში.

—

**15 წლის იუბილეი.** წლეულს სრულდება 15 წელიწადი, რაც ავჭალის აუდიტორია არსებობს. ამის გამო 15 თებერვალს აუდიტორიაში გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა. წარმოადგენენ ოსტროვსკის კომედიას: „Не въ свои сани не садись". ოსტროვსკის ეს პიესა ავჭალის აუდიტორიის გახსნის პირველ დღეს წარმოუდგენიათ.

—

**სახალხო წარმოდგენა.** დღეს საღამოს 8 საათზე სახალხო სახლში სცენის მოყვარეთა წრის დასის მიერ მეორედ წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა".

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაზეთ „დროების" მე-33 ნომერში დასტამბულია გურიაში უმიწა-წყლო ხალხის მიერ ადგილის შეძენის შესახებ ზოდოქის აგარაკში. რადგან რამდენიმე მუხლი ხსენებულ ცნობისა სიმართლეს ეწინააღმდეგება, გთხოვთ ნება მიბოძოთ, მოგახსენოთ საქმის ნამდვილი ვითარება.

ზოდოქის „დაჩა", რომლის შეძენა მოინდომეს უმამულო ხალხის წარმომადგენლებმა, მდებარეობს სოფელ ლეხაურსა და მაკვანეთის საზღვარზე. ორივე სოფელი შესდგება დახლოვებით რვაას კომლისაგან: ამ მამულს ლეხაურლები და მაკვანეთელები სარგებლობდნენ და სარგებლობენ უხსოვარ დროიდან. დაუთვილი აქვთ საყანეებად და ყველას თვის ყანაში სასიმინდე უდგას, ხოლო დანარჩენ შეუხნავ ნაწილს ხმარობენ საბალახოდ მართალია, ეს მამული ლეხაურელ გლეხების საკუთრებას არ შეადგენს, მაგრამ სამაგიეროდ მამული ეკუთვნოდათ მაკვანეთელ და ლეხაურელ თავადებს და აზნაურებს და მხოლოდ სამი თუ ოთხი წელიწადი იქნება, რაც ბანკს დარჩა, გლეხები წინად მემამულეებს აძლევდნენ ღალას, შემდეგ კი ბანკს. ეხლა, როცა გაიგეს რომ ამ მამულს სხვა ხალხი (გლეხები) ყიდულობსო, იმ წამსვე დეპუტაცია გაუგზავნეს ასკანლებს და მათ ამხანაგებს, რომ მამული არ ეყიდნათ, რადგან უამმამულოდ ლეხაურს ცხოვრება არ შეუძლიან, ხოლო როცა ვერავითარი გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღეს, მიმართეს ბანკს და სთხოვეს, რომ ეს მამული ლეხაურზეა მოდებული, ჩვენთვის უპრიანია და ჩვენ მოგვყიდეთო. ბანკმა რაკი დაინახა, რომ მამული ლეხაურლებზე უფრო უპრიანია, შეაჩერა საქმე და მოსთხოვა ორივე მხარეს ადგილობრივ მოელაპარაკნათ და თუ ვერ შეთანხმებოდნენ, სამედიატორ წესით გაერჩიათ, ვის უფრო ეკუთვნის მამული. განაჩენი ჯერ არა უთქვამს, მაგრამ დიდი გამოცანა არ უნდა, რომ ლეხაურლების საზღვარზე მდებარე ადგილი ლეხაურლებს უფრო ეკუთვნით, ვიდრე ჭყვარცმას და აკეთს, რომელნიც ორმოცი ვერსით არიან დაშორებულნი იმ მამულზე. ხოლო თუ გადასახლება უნდათ სადმე, ლეხაურლებს კი არ უნდა გამოჰგლიჯონ ლუკმა პირიდან, არამედ სხვაგან უნდა მონახონ თავისუფალი მიწა და იქ შეიძინონ, თორემ აქამდის მარტო ერთი მხარე იყო მშიერი და ამის შემდეგ-კი ორი მხარე მშიერი იქნება. რაც შეეხება იმას, ვითომ ლეხაურლებს შეჰკითხოდნენ, ყიდულობთ თუ არა ამ ადგილსაო, და მათგან უარი მიეღოთ, ეს მართალი არ არის. არავინ მათ არ შეჰკითხებია და არც არავინ მათთან მოციქულად არ მისულა. რომ ეს სიმართლეს მოკლებულია, იქიდანაც სჩანს, რომ, როგორც ბოლოს გამოირკვა, როცა ზოდოქის მამულის დასათვალიერებლად დადიოდნენ სხვა სოფლებიდან გამოგზავნილი პირნი, მათ ლეხაურლებს დაუმალეს მიზეზი მამულის დათვალიერებისა და თვალის ასახვევად უთხრეს, [illegible] ტყუპით. გარდა ამისა, როცა აგრეთ ვებდნენ იმ მამულის ყიდვის მსურველებს, ლეხაურლებისთვის არავითარი [illegible] მხედვით და თავიანთ სიაში არც ერთი ლეხაურელი არ ჩაუტანიათ. აგრეთვე უსაფუძვლოა შიში იმის შესახებ, რომ ეარსულები წაიღებენ მამულს, რა საკვირველია, თუ სხვა და სხვა სოფლები ხელს არ შეუშლიან ლეხაურლებს. მადლობის ღირსია კომისია, რომელიც სცდილობს უმამულო ხალხს მამული უშოვნოს, მაგრამ ამისთვის ისეთი საშუალებას არ უნდა მიჰმართოს, რომელიც ერთ გაბედნიერებს, ხოლო მეორეს გააუბედურებს.

**ლეხაურელი.**


**პირველი კავკასიის სარემონტო და შემკრები**

**ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო**

**● ზომა და წონა ●**

ტელეფონი N 9. ყვირილის ქუჩა, [illegible] ლოვის და ამხ. ქარხნის პირდაპირ.

შევაკეთებთ, შევსწორ-შევასწორებთ და ვამზადებთ ნიშნების (დაღის) დასადებად სასწორებსა და წონის ქვებს სხვა და სხვა სისტემებისას თანახმად ახალის კანონისა ზომათა და წონათა შესახებ.

ჩვენ თავზე ვიღებთ ნიშნების (დაღის) დასმის საქმეს სასამართლო კარავში. იყიდება სასწორები და საწონი ქვები სხვა და სხვა გვარისა.

◀ **ურმის სასწორები** ▶

(5—1031—3)

# 200 მანეთს საჩუქრად ვაძლევთ 200



იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ ქვემოდ დასახელებული ნივთები არ შეეფერება ჩვენ მიერ დადებულ ფასებს.



**მხოლოდ 3 მ. 95 კ. ნაცვლად 12 მან.**

უგზავნით 12 უსაჭიროეს, ფასიან ნივთებს:

1) საათი შავი ფოლადისა, ანკერის ქვებზე, მომართვა უგასაღებოდ 36 საათში ერთხელ; პირობასა ვდებთ, რომ 6 წელიწადს არ დადგება; 2) კოხტა მოდის მეწკვი; 3) ასეთივე ბრელოკი; 4) ზამშის ბუდე საათის შესანახა[illegible]; 5) ტყავის პორტმანი 7 განყოფილებით; 6) კაუჩუკის მტემპელი შემკვეთელის სახელით, მამის სახელით და გვარით; 7) შუშა წამალი მტემპელისთვის; 8) ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ნ ი ვ თ ი: ამერიკული უშიმარი სამართებელი „მულკუ[illegible]" რომლითაც ყველას ადვილად შეუძლიანთ წვერის პარსვა; 9) ნიკელის [illegible] სასმელი ფერებისა; 10) ნიკელის ფინჯანი; 11) ამერიკული სტერეოსკოპი, რომე[illegible] შიაც კაცი ყოველგვარ სურათს დაინახავს; 12) 25 ორმაგი ფოტოგრაფიული სურათი. ყველა ეს ნივთები მსურველს 3 მ. 95 კ. გაეგზავნება. თუ უხმო დახურული [illegible]ათიც იქნება—1 მანეთით უფრო ძვირია.

ადრესი: Складъ часовъ Т—во „Универсаль", Варшава, Холодная, 22.
(Метцль и К. N 11939) (3—6.—1)

**ამით ვაუწყებთ** პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში კარ[illegible]ჩნის ქ. № 24, იქ სადაც „ვარშავის ნომრები" იყო გაიხსნება ახალი ნომრე[illegible]

# „ოტელ-იმპერიალ"-ი.

სახლი შეკეთებულია, ავეჯეულება და მოწყობილება სრულიად ახალი. ნომრები განათებული იქნება ელექტრონით. საფარი სისუფთავე, სტუმრებთათვ[illegible] მოსაწონი.

**პატივისცემით ნატროევი და ამხანაგობა.**

(0—გაყ.—1)

◀ **ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი** ▶

# „ძმ. სესიევები და ამხ."

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად მან გამოუშო გასასყიდად უმაღლესად დაწმენდილი, ფილტრაციის საშუალებით, ახლად შეკეთებულ და გაუმჯობესებულ აპპარატებით, რომელთაც

# პურის არაყი

დაჯილდოვებულია 1909 წლის პარიზის გამოფენაზე **უმაღლესის საჩუქრებით**

● **ფირმა განსაკუთრებით ურჩევს მუშტარს:** ●

**პურის არაყი № 101.**

**პურის არაყი № 50.**

**ღ ვ ი ნ ი ს და**

**კახური არაყი, რომელიც არ დაუარდება კანიაკს.**

# მოითხოვეთ ყველგან.

(10—გ.—3)

◀ **ქუთაისში ქირავდება** ▶

# სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გა[illegible]რავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზო[illegible] ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—5)

**გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა**

# კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის" სტამბის ამხანაგობისა.

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. ✦ **წიგნის ფასი 35 კაპ.** ✦

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома" Василію К. Болквадзе. (10—6.—3)